პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ტატების საბჭოთა [illegible]

ერთეული
ფასი 2 კაპ.

გაზეთის 42-ე წელი
№ 169 (12083)

ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1961

ფასი 2 კაპ.



დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

საბჭოთა კავშირ-განის ერთიანი კომუნიკე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით 1961 წლის 10-25 ივლისს საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ სტუმრად სახელმწიფო ვიზიტით იმყოფებოდა განის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი კვამე ნკრუმა.

სსრ კავშირში ყოფნის დროს დოქტორ კვამე ნკრუმას შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ნ. ს. ხრუშჩოვთან, ლ. ი. ბრეჟნევთან და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა მოღვაწეებთან. გამოვლინდა შეხედულებათა ერთობა თანამედროვეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება, ბრძოლა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, კოლონიალიზმის სრული და რაც შეიძლება მალე ლიკვიდაციისათვის, სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით მოწესრიგებისათვის, მშვიდობის საქმისათვის პოტენციურად საშიში საერთაშორისო დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირისა და განის მთავრობებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და განის რესპუბლიკის ურთიერთობას ნამდვილად მეგობრული ხასიათი აქვს და წარმოადგენს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების წარმატებით განხორციელების მაგალითს. პრეზიდენტმა კ. ნკრუმამ თქვა, რომ დადებითად ეცდება ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის ამასწინანდელ ვენის შეხვედრას, ამასთან გამოთქვა რწმენა, რომ ასეთი შეხვედრები სასარგებლოა სახელმწიფოთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

ორივე მთავრობას მიაჩნია რომ თანამედროვეობის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემაა საყოველთაო და სრული განიარაღება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში. განის მთავრობას სსრ კავშირის მთავრობის წინადადებანი განიარაღების საკითხზე მიაჩნია მოლაპარაკების გონივრულ საფუძვლად. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ მხარს უჭერს განის მთავრობის წინადადებებს აფრიკის მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხზე, განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ აფრიკა გადაიქცეს უცხოეთის სამხედრო ბაზებისა და ატომური იარაღისაგან თავისუფალ მშვიდობის ზონად.

სსრ კავშირისა და განის მთავრობები აცხადებენ, რომ გადაჭრით გმობენ იმპერიალიზმს და კოლონიალიზმს ყველა მისი ფორმითა და გამოვლინებით და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ამჟამად მთელი პროგრესული ძალების შეკავშირების პირობებში მსოფლიოში არის იმის რეალური წანამძღვრები, რომ სამუდამოდ მოეღოს ბოლო კოლონიური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სისტემას. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას იბრძოლონ იმისათვის, რომ გადაუდებლად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის დებულებანი კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ორივე მთავრობა გმობს იმპერიალისტურ აგრესიას კონგოში და აცხადებს, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს კონგოს რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას, რომელსაც ანტუან გიზენგა მეთაურობს. ორივე მთავრობა გადაჭრით გმობს პორტუგალიელ კოლონიზატორთა მოქმედებას ანგოლაში და თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ანგოლის ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის თავისი თავისუფლებისათვის.

ორივე ქვეყნის მთავრობები გადაჭრით გმობენ ფრანგ კოლონიზატორთა აგრესიას ტუნისის წინააღმდეგ ბიზერტაში, მხარს უჭერენ ტუნისის მთავრობის იმ სამართლიან მოთხოვნებს, რომ საფრანგეთმა შეწყვიტოს ყოველგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს ტუნისის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას და გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები ტუნისიდან.

სსრ კავშირისა და განის მთავრობები გამოთქვამენ თავიანთ დიდ აღშფოთებას აპარტეიდის, რასობრივი დისკრიმინაციისა და გენოციდის პოლიტიკის გამო, რასაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს. გადაჭრით გმობენ რა საფრანგეთის მმართველი წრეების მანევრებს, რომელთა მიზანია ალჟირის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის ჩაშლა, ორივე მთავრობა გამოთქვამს რწმენას რომ ალჟირელი ხალხი მიაღწევს თავის კანონიერ უფლებათა განხორციელებას და შექმნის დამოუკიდებელ ერთიან სახელმწიფოს მისი ეროვნული მისწრაფებების შესაბამისად.

ორივე მთავრობას მიაჩნია, რომ დასავლეთ ევროპის გარკვეულ სახელმწიფოთა ცდები — ევროპის ეკონომიური გაერთიანების საქმიანობის სფეროში მოაქციონ აფრიკის სახელმწიფოები, არის გეგმა, რომლის მიზანია მიაჯაჭვოს აფრიკის ქვეყნები ევროპის იმპერიალიზმს, ხელი შეუშალოს აფრიკის ქვეყნებს განახორციელონ დამოუკიდებელი ნეიტრალური პოლიტიკა, ხელი შეუშალოს ურთიერთსასარგებლო ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას ამ სახელმწიფოებს შორის და იყოლიოს აფრიკის ქვეყნები როგორც ნედლეულის მიმწოდებლები იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის.

სსრ კავშირისა და განის მთავრობებს მიაჩნიათ, რომ ნეიტრალისტური ქვეყნები, სოციალისტური სახელმწიფოები, აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები ეფექტიანად და თანასწორუფლებიანად უნდა იყვნენ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში. ამისათვის საჭიროა შესაბამისი ცვლილებანი მისი ორგანოების სტრუქტურასა და შემადგენლობაში. ორივე მთავრობის ღრმა რწმენით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმატებით საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაუყოვნებლივ აღდგენა ამ ორგანიზაციაში.

განის მთავრობა გაგებით მოეკიდა საბჭოთა მთავრობის წინადადებებს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგების შესახებ.

განის პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მიწვევა განის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ აპირებს განახორციელოს ასეთი ვიზიტი, როგორც კი მიეცემა ამის შესაძლებლობა.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ. (საკდესი).

ქართული კულტურის მშვენება და სიამაყე

თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის

ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი

ძნელი და ეკლიანია მწერლის, იმ ადამიანის გზა, რომელსაც გადაუწყვეტია თავისი სიცოცხლე, თავისი შრომა სამშობლოს, ხალხს სამსახურის კეთილშობილურ საქმეს მოახმაროს, მაგრამ ასეჯერ ბედნიერია ის, ვინც კრისტალური პატიოსნებით ასრულებს თავის საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ მოვალეობას. ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით მოსავს ლიტერატურის ასეთ პატიოსან მშრომელთ. დიდებით მოსილი მათი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ ადამიანთა წიგნები, ნაწარმოებები რელიკვიებივით ინახება ყოველ ოჯახში, ხოლო მათი სიცოცხლის დიდი თარიღები საერთო-სახალხო დღესასწაული ხდება.

ასეთ შესანიშნავ ადამიანთა ერთ მუყაბრში, რომლებიც შეადგენენ თავიანთი ხალხის სიამაყეს, დგას ქართველი ხალხის დიდი შვილის — შესანიშნავი პოეტის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას სახელი. „ქართული პოეზიის არწივი", როგორც მას მოსწრებულად უწოდეს ხალხში, დიდი თავისთავადი ნიჭის ხელოვანი, იგი ოცდათუმეტი წლის მანძილზე ქმნიდა თავის გენიალურ ნაწარმოებებს—უჭკნობ ფასდაუდებელ წვლილს მშობლიური საქართველოს კულტურის საგანძურში.

ოცდათექვსმეტი პოემა, ოთხასი ლექსი, ათობით მოთხრობა, ნარკვევი, სტატიები, დრამები —ასეთია დიდი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მაგრამ ვერავითარი ციფრით, ვერავითარი საზომით ვერ გაიზომება მისი პოეტური აზროვნების გაქანება, მის ქმნილებათა იდეების სიღრმე. ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმით, კაცთმოყვარეობით, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ღრმა იდეებით.

ასეთი უყვარს თავისი დიდი შვილი ქართველ ხალხს, ასეთს იცნობს ქართული პოეზიის კორიფეს მილიონობით ადამიანი შორს მშობლიური მხარის ფარგლებს გარეთ. და ამიტომ ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავი ქართველი ხალხისათვის, რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის თვალსაჩინო მოვლენაა კულტურულ ცხოვრებაში, ნამდვილი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია.

ქართველი ხალხის სიყვარულს აათვკეცებს ის აღტაფორთოვანებელი ფაქტი, რომ ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსის სახელოვან იუბილეს მასთან ერთად იზეიმებს საბჭოეთის დიადი ქვეყნის ყველა ხალხი. მთელი პროგრესული კაცობრიობა. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ გენიალური ქართველი პოეტის ღრმა პატივისცემის ნიშნად, რომლის შემოქმედება გამსჭვალულია ჰუმანიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაჟა-ფშაველას იუბილე მსოფლიო მასშტაბით აღინიშნოს. საიუბილეო ზეიმის სიხარულის გასაზიარებლად მოვიდა მრავალი სტუმარი — საბჭოთა მწერლების მრავალეროვანი ოჯახის წარმომადგენლები.

მეორე დღეა რესპუბლიკაში გრძელდება საიუბილეო ზეიმი. გუშინ, 26 ივლისს ზეიმის ცენტრი გახდა თბილისის სპორტის სასახლე. აქ გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი.

სასახლის პარტერები და იარუსები ხალხით იყო გაჭედილი. ამ დარბაზში შეიკრიბა ათასობით ადამიანი — ისინი, ვისაც უყვარს ლიტერატურა, ვინც აფასებს წარსულის კულტურულ მემკვიდრეობას. აქ არიან მეშები და კოლმეურნეები, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები და საბჭოთა არმიის მეომრები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები. ესწრებიან საზღვარგარეთელი სტუმრები — მოსკოვის მეორე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ფინეთის, გვინეის კინემატოგრაფისტები.

სპორტას სასახლის აღმოსავლეთ იარუსებს ამშვენებს ვაჟა-ფშაველას დიდი პორტრეტი. ბრწყინავს თარიღი „100". პრეზიდიუმში არიან ვ. პ. მეჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ტ. სტუჩენკო, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, მომე რესპუბლიკების მწერალთა დელეგაციების წევრები, ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საზეიმო საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ჯიბლაძემ. მან თქვა:

მთაწმინდაზე, სადაც პანთეონის მშვიდ უკადრებაში განისვენებენ ქართველი ხალხის ოქროპირები, სულისა და გულის მესაიდუმლენი, სადაც ჩვენი მრავალსაუკუნოვანი პოეზიის მშვენებამ თავი შეაფარა, დღეს დილით ვაჟა-ფშაველას საფლავი შეამკეს ცოცხალი ყვავილებით, ფშაური დეკთა და ლვინო. დიდი პოეტის პატივსაცემად მოვიდნენ რუსები და ბელორუსები, სომხები და აზერბაიჯანელები, უზბეკები და თურქმენები, სოციალისტური სამშობლოს ხალხთა და ერთა წარმომადგენლები.

ჰუმორიტად განუზომელია ვაჟა-ფშაველასადმი საყოველთაო-სახალხო სიყვარული, უსასრულო და უნაპირო, როგორც თვით მისივე პოეტური ჩანგის ძალა, რომელმაც საქართველოს ცაადწვდილი მთებიდან მოიტანა ხალხის სიბრძნასთან ერთად გამარჯვების დიადი რწმენა, ათრთოლებული ცხელი გული და ადამიანობის საგალობელი.

თითქოს ქართული პოეზიის მთები დაძირნენ და ვაჟას გადაულოცეს ახალი მწვერვალები; თითქოს აზრმა და გრძნობამ ახალი იერი შეიძინეს; თითქოს გაცოცხლდა მთელი ისტორია და გადმოიზიდა არწივის თვალით. როგორც ბუმბერაზი მთა, ისე აღდგა ჩვენს წინაშე ვაჟა-ფშაველა, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, კაცურ-კაცობისა და სამართლიანობის უებრო მომღერალი. მონობისა და ჩაგვრის ულმობელი მტერი, ხოლო მეგობრობის, სიყვარულისა და ძმობის დაუღალავი ქომაგი.

მომხიბლავი მთაწმინდიდან ჩვენ აქ მოვედით, რათა პატივი ვცეთ ქართული კულტურის უტკნობ დიდებას, მშვენებასა და სიამაყეს, დავფასოთ ქართველი ეოლოსი, რომელმაც განუმეორებელი სილამაზით მხატვრულ სახეებში გამოხატა მშობლიური ბუნების თვალისმომჭრელი მშვენიერება, ხალხის გულში დაიდგა ბინა და ხალხის ბედნიერებას უმღერა ქებათა-ქება.

ვაჟა-ფშაველას გენიამ ხალხის წიაღში გაახალა თვალი და ხალხს კუთვნილებად იქცა. მთელი მისი მდიდარი შემოქმედება მშობლიური ერისა და კაცობრობის უანგარო სამსახურის ისეთი მაგალითია, რომლის მსგავსი ისტორიას მხოლოდ ერთეულები გაახნია.

ვაჟა-ფშაველა ეროვნული პოეტია, მაგრამ ამავე დროს მსოფლიო მწერალია, და მსოფლიოც პატივს სცემს ქართველ ჰომეროსს. მისი პოეტური შედევრები დღეს ამეტყველებენ სამყაროთა კავშირის ხალხთა ენებზე. მათ თარგმნიან და ხალხების საკუთრებად ხდიან მსოფლიოს ყველა კუთხეში.

მაგრამ პირველნი, ვინც ვაჟა საბჭოთა კავშირს გააცნო, დიდებულ რუსულ ენაზე აამეტყველა და ამით მსოფლიოში გაიტანა. ჩვენი მოძმე რუსი პოეტები იყვნენ. მადლობა. დიდი მადლობა მათ, ვაჟას პოეზიის მთარგმნელებს — ნიკოლოზ ტიხონოვს, სერგი სპასკის, ნიკოლოზ ზაბოლოცკის, ვერა ზვიაგინცევას, დერჟავინს, პენკოვსკის, მარინა ცვეტაევას, კოჩეტკოვს, ტარკოვსკის და რუსი პოეტების პლეადას — ვაჟას მეგობრებს.

ჩვენ უდიდესი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით ვიხსენიებთ ყველა იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებაში, რომლის ძალითაც წელს მთელი მსოფლიო აღნიშნავს გენიალური ქართველი პოეტის, საზოგადო მოღვაწის, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის მებაირაქტრის. ჰუმანისტისა და დემოკრატის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს. ქართველი ხალხის დიდი მადლობა მათ, მშვიდობისათვის დაუღალავ მებრძოლებს, რომ ასეთი მაღალი, სავსებით დამსახურებული შეფასება მისცეს იმ ადამიანის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას, რომელმაც მთელი სიცოცხლე მშობელი ერისა და ხალხთა კეთილდღეობას მოახმარა. ჩვენ გვინდა მთელმა ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ ვაჟა-ფშაველას სახელის უკვდავსაყოფად, მისი შემოქმედების ასე დიდი დაფასებისათვის ყველაფერი გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, უწინარეს ყოვლისა ამხანაგმა ვ. პ. მეჟავანაძემ.

ჩვენს ზეიმს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიეცა. ვაჟას საიუბილეო საღამოს ესწრებიან მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, მხატვრული სიტყვის ოსტატები, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწენი. აქ, საზეიმო სხდომაზე, ჩვენს შორის არიან: სახელოვანი რუსი პოეტი, ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი. რუსი კრიტიკოსი გრიგოლ ვლადიკინი. ბელორუსი მწერალი სერგი გრანოვსკი, აზერბაიჯანელი მწერლები მირზა ბრაჰიმოვი და კიორჩაილ ალიევა, სომეხი მწერლები რაჩია ოვანესიანი და ანაიდ საინიანი. უზბეკი მწერალი აბმედ ბაბაჯანი, თურქმენი მწერალი ტოკუშან ესენოვა, ლატვიელი მწერალი მეინარდ რუძტისი, ყირგიზი მწერალი სოორონბაია ჯუსუეევი, დაღესტნელი პოეტი იუსუფ ხანალიევი, ყაბარდო-ბალყარეთის პოეტი ამირხან შომახოვი, ადიღეელი მწერალი იუსუფ ტლიუსტენი, მოლდაველი მწერალი პეტრე ზადნეპროვი, ჩრდილოეთ ოსეთის მწერალი გიორგი კაიტუკოვი, მწერალი ირაკლი ანდრონიკაშვილი.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, მთელი ქართველი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს და მადლობა ვუძღვნა მათ ვაჟა-ფშაველას დაფასებისათვის.

ქუხს ხანგრძლივი ტაში.

გ. ნ. ჯიბლაძე ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს გახსნილად აცხადებს.

საქართველოს სახალხო პოეტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ლეონიძე მოხსენებისათვის ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სიტყვას აძლევს აკადემიკოს გ. ნ. ჯიბლაძეს (მოხსენება ქვეყნდება გაზეთის დღევანდელ ნომერში).

იწყება სტუმრების — მომე საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელთა გამოსვლები.

სიტყვას პირველი ამობს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე პოეტი ნ. ს. ტიხონოვი. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ გამოჩენილი საბჭოთა მწერალს, ქართული ლიტერატურის დიდი და გულწრფელი მეგობრის ტრიბუნაზე გამოჩენას.

ბედნიერი ვარ საყოველთაო-სახალხო ზეიმის — დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავის დღეს გადმოგცეთ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის უდიდესი, უგულითადესი სალამი, — ამბობს ნ. ს. ტიხონოვი.

ნ. ს. ტიხონოვი შეკრებილთა ტაშის გრიალში კითხულობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მისალმებას საზეიმო სხდომის მონაწილეებისადმი და მათი სახით მთელი ქართველი ხალხისადმი, მისალმებას, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე ინგლისელი მეცნიერი პროფესორი ჯონ ბერნალი და საბჭოს მდივანი პროფესორი ვიქტორ ჩხიკვაძე.

„იმასთან დაკავშირებით, რომ 1961 წლის 26 ივლისს სრულდება გამოჩენილი ქართველი პოეტისა და მწერლის ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავი, — ნათქვამია წერილში,—მშვიდობის მსოფლიო საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის ამ დიდი კულტურული წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს მონაწილეებს. მშვიდობის მსოფლიო საბჭომ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება ვაჟა-ფშაველას დაბადების ასი წლისთავის დღესასწაულის შესახებ, გაითვალისწინა რა, რომ მის შემოქმედებას ფართოდ იცნობენ არა მარტო სსრ კავშირში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. ვაჟა-ფშაველას თავისთავადი შემოქმედება მახლობელი და გასაგებია სხვადასხვა ქვეყნის ხალხებისათვის, რადგან იგი გამსჭვალულია ჰუმანიზმის, შემოქმედებითი შრომის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის დიადი იდეებით".

(დასასრული მე-3 გვერდზე).

მ. ა. შოლოხოვის მისალმება

ვაჟა-ფშაველას იუბილესთან დაკავშირებით

ძლიერ ვწუხვარ, რომ ამ დღეს თქვენთან არა ვარ, ძვირფასო ქართველებო.

მაგრამ განა იმაზეა საქმე, თუ სად ვიქნები ამ ღირსშესანიშნავ დღეს? სულ ერთია, ჩემი სული და გული თქვენთან იქნება. ვაჟა-ფშაველა უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია, და ამ დღეს მიმიღეთ იმათ რიცხვში, რომელნიც შვილობრივი სიყვარულით მოიხრიან თავს იმის ნეშტის წინაშე, ვისი ქმნილებანიც მარად ესთეტიკური სიტკბოებას გვანიჭებენ, ვინც ჭეშმარიტად უკვდავია!

მ. შოლოხოვი.

1861 ჩვენის კაცობის გვირგვინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა ჟ ა ს გ ე ნ ი ა

გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე

გენიოსის გამოჩენა ლიტერატურაში თითქოს ყოველთვის დაკავშირებულია განსაკუთრებულ მოვლენებთან. გამონაკლისს არც ქართული პოეტური გენიის— **ვაჟა-ფშაველას** ლიტერატურული დაბადება წარმოადგენს.

როგორც ცადატყორცნილი მთებიდან ქუხილით მოედინებიან ერთმანეთზე მიყოლებული რძესავით თეთრად აქაფებული ჩანჩქერები, რომლებიც თვალწარმტაცი სილამაზით ერთბაშად ხიბლავენ ადამიანს, ისე შემოიჭრნენ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველას ძარღვმაგარი ლექსები, და როგორც მომსკდარი ზავი, რომელიც თავის გზაზე მხოლოდ საკუთარ ნაკვალევს დატოვებს ხოლმე, ისე მოევლინა თვით ვაჟა-ფშაველა მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიას, მოევლინა და ჩვენს წინაშე აღიმართა განუმეორებელი კოლოსის სახით. ბუნების ამ კანონზომიერებას ბუნებისავე საოცარი შვილი მხოლოდ იმით გამოეყო, რომ თუ ჩანჩქერები გაზაფხულის შემდეგ ქრებიან, მისმა ლექსებმა მარადიული არსებობა შეინარჩუნეს, ხოლო თუ ზავი თავის გულზვიადობას მზის ცხოველმყოფელი ძალის შემდეგ არაარაობად აქცევს, ვაჟამ ამ ძალით კიდევ უფრო მეტი მომხიბვლელობა შეიძინა და უკვდავება მიიღო. პოეტთაგან არავინ ისე მჭიდროდ არ ყოფილა დაკავშირებული ბუნების **უშუალობასთან,** როგორც ვაჟა, და არავის შემოქმედებაში ისე არ უგრძნია ბუნების საიდუმლო **ენა,** როგორც ვაჟას.

მთა და **ვაჟა** სიმბოლურად გაერთიანდა ჩვენს ლიტერატურაში, მთა და ვაჟა განუყოფელად დაუკავშირდა ერთმანეთს, თითქოს საქართველოს გულზვიადი, მაგრამ ლამაზი მთების წიაღმა დაბადა თავისივე მსგავსი პოეტური ჰეროლდი.

ეს დაბადება თავიდანვე დაუკავშირდა დიდ სოციალურ ტკივილებს, დროისა და ეპოქის მაჯისცემას; ეს იყო მიზეზი, რომ ტანჯვათა, უბედურებათა და საშინელებათა ადამიანურ სამყაროზე ვაჟა პირდაპირ შექსპირისებური ძალით მოსთქვამდა, როგორც კაცურ-კაცობის ღირსებათა მხურვალე დამცველი, განწირულთა, უსახლკაროთა, დაჩაგრულთა და უუფლებოთა ასევე მხურვალე ქომაგი:

„რა ყოფაში ვარ? რა მემართება?
ლამის გავგიჟდე, გავმხეცდე მთლადა.
ადამიანის ხორცსა ვჭამ პურად,
ადამიანის სისხლსა ვსვამ წყლადა,
მილიონობით დღეში არ მყოფნის,
ადამიანის მე მქვიან მადა...
როდის-ღა უნდა ადამიანმა
ადამიანი იწამოს ძმადა?!“

ამ ადამიანურ თავსამტვრევ კითხვებს, **კაცობრიობის** საჭირბოროტო ამოცანებს თავიდანვე შეეზარდა ვაჟა-ფშაველას მაღალი მთებიდან დაძრული პოეტური **სიმღერა,** რომელმაც ღრმა **სევდასთან** ერთად გამამხნევებელი **მოძახილიც** გვაგრძნობინა. წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე მწარედ დაფიქრებული ვაჟა თავის პირად ხვედრს **ამირანის** ბედს ადარებდა, მაგრამ ნაინც იმედიანად იყო, რაკი მიაჩნდა, რომ „მომავლის სხივი აქარვებს გმირის ოხვრას და გმინვასა“; ამიტომ, მომავლის ნათელით შთაგონებული, ომახიანად ამბობდა: „მემღერება და ვიმღერიო“.

ეს იყო დიდი პოეტის იმედიანი სიმღერა მომავალზე, ერის ბედნიერებაზე, რასაც იგი წინასწარ გრძნობდა, შესტრფოდა, ემსახურებოდა, ქებათა-ქებას უძღვნიდა, ხოლო რარიგადაც არ უნდა დასწოლოდა შავი ღრუბელი, რარიგადაც არ უნდა შეცურებულიყო უბედურებათა ზღვაში, რარიგადაც არ უნდა მოეწამლათ კაფიებს მისი ამაყი სული, ესვათ შხამი თუ დაეწყვიტათ ჩონგურის გრძნეული სიმები, დროებით **გულგატეხილობას** ყოველთვის თან სდევდა სულგაუტეხელი **ოპტიმიზმი,** რომლითაც დატენილია ვაჟას პოეზიის მაგისტრალი, იქნება ეს ლირიკული მინორი თუ ეპიკური მაჟორი. ყველგან ვაჟკაცური ხმა გვესმის, როგორც „მხედართა ძველ სიმღერაში“, რომელშიაც სიცოცხლის, კაცურ-კაცობისა და სამშობლოს სიყვარულმა ასე მშვენიერი, თან ასე ამაღლებული გამოხატულება ჰპოვა:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.
არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალის თავითა;
უკან ვერ დაგვახევინებთ
მისთვის ნაძღვნევის შხამითა.
მტრისაკენ მივიზიდებით,
რომ გავწყდეთ, როგორც ლომები.
ჩვენს ზურგს ვერ ნახავს მეტოქე,
რომ გვნახო, მოგეწონები!
შვილებს საზღაპროდ ექნება
ჩვენი ბრძოლა და ომები!“

მაგრამ თუ ეს იყო „მხედართა ძველი სიმღერა“, ძველი იმედიანი მოძახილი, ვაჟამ თითქოს წინასწარმეტყველურად განჭვრიტა ჩვენი დრო, ჩვენი უმაგალითო გამარჯვების გვირგვინები, როცა ღრმა რწმენით დაიგალობა:

„კიდევაც ვნახავ გაზაფხულს,
ყელ-მოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა,
ამწვანებულსა მთა-ბარსა,
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.
კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარცასა ჰშიოდეს;
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს“.

ამ ბანს მართლაც ვისმენთ ვაჟას პოეზიიდან, მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელიც ესოდენ დიდი როლის შემსრულებელი იყო, არის და იქნება ქართველი ხალხის ისტორიაში.

მაგრამ ვაჟა, ჩვენი ეროვნული სიამაყე, მარტოოდენ ქართველ ხალხს არ ეკუთვნის. მისი პოეზიის მასშტაბი გასცდა ჩვეულებრივ საზღვრებს და შეიჭრა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, სადაც ჭეშმარიტი პოეტური ხელვის მარგალიტები მიიტანა. ვაჟას რენომე იმდენად აღიარებული ფაქტია, რომ მას აღარ ესაჭიროება რაფინირებული ეპითეტები. მაგრამ ძნელია აღტაცებისაგან თავი შეიკავო, როცა მისი პოეტური სამყაროს კალეიდოსკოპში შეიხედავ აღტაცება ყოველთვის დაუსრულებელი ეპითეტების მშობელია. შესაძლოა ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი ნაირ-ნაირი „იზმებით“ განეაზრებინათ მისი დიდი შემოქმედება. ბაგრამ ჭეშმარიტებამ დროთა სვლით მაინც ჰპოვა თავისი დასრულებული გამოხატულება, როცა **მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟას ღირსეულად მიაკუთვნა დამსახურებული ადგილი. „ვაჟა უდავოდ მსოფლიო მნიშვნელობის მწერალია“,** — თქვა ჩვენი დროის ყველაზე დიდმა რომანისტმა მიხეილ **შოლოხოვმა,** რომელმაც შესანიშნავად იგრძნო, რომ ვაჟას „ქმნილებანი გვაძლევენ ჩვენ ჩაუქრობელ ესთეტიკურ სიამოვნებას“, რომ ვაჟა „ჭეშმარიტად უკვდავია“.

ვაჟა მართლაც უკვდავია თავისი სიმღერებით. იგი ნამდვილად არის „მთებისა და დიდებული გმირობის დიდი მგოსანი“, „ქართული პოეზიის სიამაყე“, „საოცარი ადამიანი, რომელმაც მთების პოეზიაში მანამდე არნახული პოეტური სამყაროს „შექმნა“, როგორც ნიკოლოზ **ტიხონოვი** ამბობს. „შოთა რუსთაველის შემდეგ, — შენიშნავს **ზელინსკი,** — ვაჟა-ფშაველა ყველაზე ღრმა... ყველაზე მეტად ამაღელვებელი ქართველი მწერალია. ვაჟა მთაში დანთებული ცეცხლია, რომელიც თავისკენ გვიხმობს, ცივილიზაციის რკინით დაჭრილი, მაგრამ თავისი სილამაზითა და ცხოვრების სიმართლით უკვდავი თვალმშვენიერი ირმის ძახილია. ვაჟა-ფშაველა კითხვაა ჩვენი დროის წინაშე წამოჭრილი... იგი ეროვნული პოეტია საქართველოსი, მაგრამ მარტო საქართველოსი როდია. ვაჟა-ფშაველა, როგორც რალფ ემერსონი იტყოდა, „კაცობრიობის რჩეულთ ეკუთვნის“. შესაძლოა ვაჟა მართლაც „იყო ფასდაუდებელი რელიქტი, უკანასკნელი პოეტი კაცობრიობის პირველქმნილი ბავშვობისა“. მაგრამ იგი რომ ნამდვილად იყო **ქართული პოეტური გენიის რელიქტი,** რომელიც უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდა მოწინავე რუსულ და ევროპულ ლიტერატურას, სრულიად უდავოა. რუსი მწერლებიდან მას განსაკუთრებით უყვარდა პუშკინი და ლერმონტოვი, ბელინსკი და დობროლიუბოვი, ნეკრასოვი და ტოლსტოი, ტურგენევი და ოსტროვსკი; ევროპელი მწერლებიდან ჰომეროსი და შექსპირი, გოეთე და შილერი, ჰაინე და ბერნე.

ვაჟას ევროპული პარალელების ძიებისას 40-იანი წლების ქართული ფილოსოფიური აზრი დიდი შოტლანდიელი პოეტის რობერტ **ბერნსის** შემოქმედებას მიადგა, როგორც ისტორიულ პარადიგმას. ეს იყო ვაჟას პოეტური ხილვის საერთაშორისო ღირებულებისათვის პირველი შარავანდედის დადგმა. რა ნაკლიც უნდა ჰქონებოდა ამ ძიებას, ფაქტი თავისთავად მეტყველებდა ვაჟას, როგორც ნაციონალური მოვლენის, ინტერნაციონალურ მნიშვნელობაზე. **განსხვავების** მიუხედავად, საერთო ბევრი რამ შეიძლებოდა მონახულიყო. ვაჟაც და ბერნსიც გამოხატავდნენ **სამშობლოს სულისკვეთებას, სახალხო იდეალებს, ლეგენდებად ქცეულ ეროვნულ გმირებს, ქადაგებდნენ ჰუმანიზმს და ებრძოდნენ სოციალურ ძალმომრეობას.** თუ **ბერნსმა** ხელახლა გააცოცხლა შოტლანდიური ფოლკლორის ლამაზი სამყარო და სრულიად ახალი სახით წარმოუდგინა თავის მკითხველს, **ვაჟას** პოეზიაშიც ქართული ხალხური შემოქმედების თვალისმომჭრელი ქვეყანა მთელი თავის მშვენიერებით კვლავ დაიბადა, როგორც დიდი ხელოვნების მაგარი ძარღვი. ხალხური შემოქმედების ძირებიდან ვაჟამ შეიწოვა მისი ეპიკური და ლირიკული საწყისების ძლიერი ნაკადები, ისეთივე ბუნებრივი მდინარება, როგორც მაღალი მთების კალთებიდან გარინდულ მიდამოში თვალისმომჭრელი სილამაზითა და საამური ხმაურით მოიჩქარიან რძედ ქცეული ჩანჩქერები, რომლებიც „შტერად დამდგარ“ კლდეებს თითქოს ყურთა სმენას უტკბობენ. ეს იყო ფოლკლორი, მაგრამ მარტო ფოლკლორი როდი წარმოადგენდა სათავეს. ქართული კლასიკისა და ქართული ხალხური შემოქმედების მდიდარი წყაროებით აიდგა ფეხი ვაჟას პოეტურმა ოსტატობამ და ეს ლიტერატურული სიწმინდე ბოლომდე შეინარჩუნა. **არავითარი უცხო მინარევი ფორმისა მის შემოქმედებაში არა ჩანს.** მაგრამ შეუძლებელია არ დაინახო ვაჟას დიდი იდეური დრტვინვის წინამორბედთა — გერცენისა და ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობრივი ნაკვალევი. სხვანაირად არც შეიძლებოდა ვაჟას პოეტურ ანტივაგაბუნდობას ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გზისათვის მიეგნო, თუმცა ყოველთვის იმ ნიუანსობრივი თავისებურებით, რაც ჩვენ ასე ნათლად გვესმის მისივე ლექსებიდან — მთიდან ხარის ყვირილისა თუ ლომ-ვეფხვ-არწივის ალეგორიებში.

შორეული პატრიარქალურ-გვაროვნული წყობის სიღრმეებიდან წამოიმართნენ ვაჟას ყველაზე სრულქმნილი პოემების გმირები, ასე დაგვიანებით შემოანათეს ჩვენს ლიტერატურაში მკითხველთა განსაცვიფრებლად მინდიამ და ალუდა ქეთელაურმა, ჯოყოლამ და აღაზამ, ზვიადაურმა და მუცალმა, ლუხუმმა და სანათამ, გოგოთურმა და აფშინამ, მაგრამ როგორც სავსებით სამართლიანად ამბობს ნიკოლოზ ტიხონოვი, თუ დიდი პოეტის გმირები „ძველ დროში მოქმედებდნენ“, სამაგიეროდ მათს „ქცევაში ვხედავთ მაღალი ჰუმანიზმის გამოხატულებას, თავისუფლების ძიებას, ადამიანური სამართლიანობის, მეგობრობის ზეიმს, პროტესტს შავბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ, რომლებიც იმონებენ ადამიანს, უდუნებენ სულს და უბორკავენ თავისუფალ აზრს“. უძველესი წარსულის გმირები ხომ ამ გზით ხდებიან ხოლმე ჩვენთვის საინტერესონი და ჩვენც ხომ ამიტომ გვინდა მათი სახით ვხედავდეთ ჩვენს შორეულ თანამედროვეებს, რომელთაგან მხოლოდ დროის და არა სულის ფაქტორი გვთიშავს.

მაგრამ არა მარტო პატრიარქალური მთის აბჯარასხმული რაინდების კოლორიტული სახეების გალერია შექმნა ამ დიდმა ხელოვანმა, არა მარტო გვაროვნული წყობის ტრადიციები წარმოსახა პოეტური გააზრებით, არა მარტო ლირიკულ შედევრებში აამღერა მთიელი კაცის სულისკვეთება, როგორც ჩვეულებრივად შეზღუდული ჩარჩოებით წარმოგვიდგენდნენ ხოლმე ვაჟა-ფშაველას მისი ადრინდელი თაყვანისმცემლები და კრიტიკოსები, არამედ, **„ალუდა ქეთელაურის“, „ბახტრიონის“, „კოპალას“, „გველის-მჭამელის“, „სტუმარ-მასპინძლის“, „მოკვეთილის“, „ვოგოთურ და აფშინას“** გენიალურმა შემოქმედმა მთელი **თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით განასახიერა რევოლუციამდელი საქართველოს ყოფა, აზრები და იდეები, ტკივილები და სულისკვეთება, მისი გარდუვალი მომავალი ბედნიერება,** განუმეორებელი ფერწერული ოსტატობით პოეტურ ყალიბში ჩამოაქანდაკა **სამშობლო ბუნების საკვირველი სილამაზე,** აამეტყველა ქართული ფლორისა და ფაუნის ჯადოქრული ქვეყანა და ყველაფერს **ადამიანური** მიმზიდველობა მისცა. ამ ადამიანურ სახესხვაობაში ფლორისა და ფაუნის განსულიერებას **ჩვეულებრივად ანთროპომორფიზმს** უწოდებდნენ, მაგრამ მიიჩნევდნენ თვითმეზნაღ, ივიწყებდნენ, თუ რა წარმოადგენდა ნამდვილად ჭეშმარიტ იდეალს პოეტისათვის, როცა გარდასახვის გზას მიმართავდა. ამიტომ ვერ ამჩნევდნენ, რომ ვაჟას **ანთროპომორფიზმი** და **საზოგადოებრივი იდეალი აბსოლუტურ იდენტიკობაშია:** რა მდგომარეობასაც განიცდის საქართველოს მშვენიერი ფლორა, რაც აწუხებს ფაუნას, იგივე ტანჯავს ქართულ სოციალურობას. ტყის კვნესა მთელი საზოგადოების გოდებაა, შეწუხებული შვლის ნუკრი ან ყორშია დამცირებულთა და განწირულთა სახეა, მთანი მაღალნი, ხმელი წიფელი, მთის წყარო, არწივი, ბულბული, ჩხიკვი, ძერა — ყველას **ადამიანური** თვისებები აქვს მინიჭებული და **ადამიანურ ხასიათებს,** სოციალური უკუღმართობის ფონზე ძალთა ჭიდილს გაჰოხატავენ. და ვაჟა წუხს, მოთქვამს, გოდებს, რომ უდანაშაულო პაწაწინა შვლის ნუკრს პატრონი, შემბრალე ან დამცველი არა ჰყავს, მშვენიერი ბულბულის კალობას ზოგიერთები ამჭობინებენ ყვავისა და ძერის ჩხავილს, სამართლეს ძალმომრეობა აკანონებს და არა გონივრული სწყისი. ეს დიდი ჭირვარამი ქვეყნისა, კაცობრიული გულისტკივილი, თავსატეხი და თავსამტვრევი ჰამლეტისებური ყოფნა - არყოფნის პრობლემა, რომელმაც უთვალავ გენიოსთა სიცოცხლე შეიწირა, ვაჟას ტანჯავს, აწუხებს. გადააქვს თვითეულ მხატვრულ შედეგრში და გვერდით უდგება ხალხთა ბედნიერებისათვის თავგანწირულ რაინდებს.

ვაჟას მართლაც რაინდულ სულისკვეთებას არასოდეს **ქედი არ მოუხრია** არც პოლიტიკური და არც ლიტერატურული ავგურების წინაშე. როგორც **კარგი ყმა,** რომელსაც ასე დიდებით მოსავდა მთელი მისი პოეზია, ვაჟა თვითონვე ამართლებდა ვაჟკაცურ სიტყვებს:

„ვერ მაწონებთ კარგ ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია“.

და ეს შეუპოვრობა, ბარათაშვილის მერანივით თავგამეტება, ბრძოლა და ჭეშმარიტების ღაღადისი ვაჟას პიროვნებისა და შემოქმედების ერთნაირად დამახასიათებელი თვისებებია. ლირიკაშიც ნათელი მოსავს გრძნობათა კრიალა ცას. ვაჟას ლირიკულ შედევრებში ადამიანურ სინაზეს ვაჟკაცური სითბო და კდემამოსილება ყოველთვის ორგანულად ექსოვება. ტრადიციული **სატრფიალო მოტივი** მის პოეზიაში ამიტომ იღებს უცნაურად ორიგინალურ იერს, თითქოს მანამდე არასოდეს გვსმენია და არც პოეტთან გვიგრძვნია. მთიელი ქალის მორცხვ გამოხედვას ვაჟა ასევე მთიელი კაცის ვაჟკაცურ მოკრძალებას შეაგებებს ხოლმე, როგორც ალექსანდრე ყაზბეგის გამწყაზრულ პროზაში. ამ მხრივაც **ყაზბეგი** და **ვაჟა** ჩვენს ლიტერატურას იდენტურად ეკლინებიან, როგორც ამღერებული მთის შთაგონებული ფერ-მწერლები. ჩვენ გვესმის მათი გმირების ჭაბუკური გულისცემა და ვხედავთ უზადო სიყვარულით ანთებულ ახალგაზრდა ადამიანთა სახეებს, რომლებსაც კუპიდონის მაღლი მიჰფენიათ. ვაჟსაც და ქალსაც იმდენად ძლიერი ნება შეუძენიათ, რომ სიყვარულის ტახტრევახზე ორივე **გმირად** ქცეულა. ეს ჯანსაღი სული ტრიალებს მათს არსებაში, ისევე როგორც თვით ვაჟას ლირიკულ შედევრებში. და ყველგან ლირიკულ მინორს თანა სდევს ლირიკული მაჟორი. მინორისა და მაჟორის ასეთი ორგანული ერთიანობა ვაჟას პოეზიის ისეთივე დამახასიათებელი თვისებაა, როგორც იგი გვხვდება **„სამეფოს სიმღერაში“,** სადაც თვითეული ქართველისათვის ცნობილი სატრფიალო კრიალოსნის მძიგებია ასხმული:

„ქალო გნახე ფეხშიშველა,
გამოპგოდი ეზოშია;
გენაცვალე — კაკაბს ჰგავნდი
მოხეირნეს ფერდოშია.
ვინა ძუძუ გიწოვნია,
ინა თუ ვარდისაო!
გენაცვალე შავ-თვალწარბავ,
გული ჩემის დარდისაო!
გამიგონე, სად მირბიხარ,
შე უჯიშოს გვარისაო?!
შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ აგტკივა,—
სიკვდილს მივცემ სიცოცხლესა;
ერთხელ კიდევ დამენახვე,
ღმერთი დედას გიცოცხლებსა!..

ეს ვაჟკაცური, ჯანსაღი, სულითა და ხორცით დამშვენებული, ხოლო გრძნობით ამაღლებული სიყვარულის გამა თავიდან ბოლომდე ანალოგიური სახით გასდევს სულ მცირე ლირიკულ შედევრს **„ქალას“,** როგორც ჭაბუკური მორცხვობისა და თავშეუკავებლობის სიმღერას. იარაღასხმული მთიელი ტრუბადური მთლიანად ვაჟასებური ლირიზმით უმღერის თავის სათაყვანებელ არსებას:

„ქალავ, ის მიყვარს მე შენი,
თავს რომ დაპკიდებ მელადა,
პირდაპირ ცქერას ვერ ჰბედავ,
ვაუთ ცქერას იმჩნევ წყენადა.
დრო-და-დრო გაგეღიმება
გულის სალალავად, ნელადა;
უბმლო ხმალს იქნევ, უხანჯროდ
გულის გამხდარხარ მჭრელადა.
ჯერაც ატყვია ჩემს გულსა
შენგნით წყლულები ჭრელადა,
ოცგანაც კიდევ რომ დამჭრა,
ვერ გაგიხდება მტერადა!“.

მაგრამ ცხოვრების ქარიშხალს პოეტი არასოდეს არ აშორებს თავის არწივისებურ თვალს, ხედავს ადამიანურ უბედურებათა ოკეანეებს, გული უკვნესის და უტირის, მაგრამ უშუალო ბრძოლაში ებმება, როგორც კი ქარიშხალი ამოვარდა. ეს იყო პირველი რევოლუციის — 1905 წლის რევოლუციის ძლიერი ტალღების ამოვარდნა. და ვაჟა როგორც პოეტი, სოციოლოგი, ფილოსოფოსი სავსებით მართალია, ჩვენი თანამედროვეა, როცა თავისუფლების ძირებს სოციალური უთანასწორობის მოსპობაში, ეკონომიური ცხოვრების მოწესიგებასა და კულტურის საერთო საკუთრებად გადაქცევაში ხედავს. სწორედ პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში (1905-1906 წლები) ვაჟა ასწავლიდა თავის თანამედროვეებს: „ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, საცა ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება... მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა“.

ვაჟას არც ის დიდი ჭეშმარიტება გამოპარვია, რომ „თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისათვის... თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა... **თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა“.**

მაგრამ თავისუფლების მოპოვების შემდეგ ადამიანის აზრი, სიტყვა, მთელი „მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ“. წინაღმდეგ შემთხვევაში არ იქნება ნამდვილი თავისუფლება, ვინაიდან „მიტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად“, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ისტორიაში. როგორ ეხმაურება ვაჟას ეს მშვენიერი სიტყვები **მსოფლიოს იმ ხალხებს,** რომლებსაც დღემდე ვერ მოუპოვებიათ თავისუფლება, მაგრამ დღეს თუ ხვალ აუცილებლად გაიმარჯვებენ.

უთუოდ შთამომავლობას უანდერძებდა ვაჟა **„მწყემსის ანდერძში“** ნათქვამ სიტყვებს:

„სიცოცხლით ჩამწარებული
მკვდარ მაინც გამახარეთა“.

ვაჟა რომ ჩვენს დროს, ჩვენს საბჭოთა საქართველოს მოსწრებოდა, იმ საქართველოს, რომელიც მას „ჩვენებაში“ (1911 წელი) აღმდგარი სახით ეხატებოდა, საქართველოს, რომელიც თავისუფალია ძალმომრეობისა, ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან. საქართველოს, რომელმაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროშით ტანჯვის სამეფოდან სიხარულის სამეფოში გიგანტური ნახტომი განახორციელა და სოციალიზმის შარავანდედი დაიდგა, გრძნეულად დაიმღერებდა ახალ ქებათა-ქებას და მისთვის ჩვეული პოეტური ჟრუანტელით გვეტყოდა: ძველთა არ გვინახავს ერთი დღეც კარგი.

„მაგრამ არ გავწყდით, არც
გადავგვარდით,
მშობლიური ცა თავზე დაგვაცქერის,
მრავალჟამიერ იყოს სიცოცხლე
ჩემის ქვეყნისა და ჩემის ერის!“

ან გაგვაგონებდა სულიერი კმაყოფილების იმ სიტყვებს, რომლებიც აღფრთოვანების წუთებში პოეტს გულიდან ამოზდებოდა ხოლმე:

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩერ, ვბუბუნებ;
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე! —
მძინარიც იმას ვდუდუნებ“.

ცოცხლობს და დღეგრძელობს ვაჟას სამშობლო — საქართველო, რომელმაც საბჭოური მზის ცხოველმყოფელი სხივებით სინამდვილედ აქცია პოეტის ჭეშმარიტად საკაცობრიო, ყველაზე მეტად მოწინავე აზრები, სანუკვარი ფიქრები და საოცნებო იდეალები. არასოდეს ვაჟას „ლაფიანი სინამდვილე ია-ვარდით“ არ შეუფერადებია და სიმართლისათვის გორდა არ დაუანგებია. ამიტომ მას სრული უფლება ჰქონდა ღრმა რწმენით ეთქვა:

„მადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს ხაპრო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც
უნდა“

ვაჟა მრავალმხრივი შემოქმედია, როგორც ილია, როგორც აკაკი; ღრმა მოაზროვნე და დაკვირვებული მკვლევარია, სოციოლოგი და ეთნოგრაფია; მრავალმხრივია ჟანრობრივადაც (პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, მთარგმნელობითი ხელოვნება). ვაჟამ თარგმნა პოლონური ლექსი „ბულბულსაც მოეწყინება“ (1886), **ჰაინეს** „საღამოს ქამმა არე დაფარა“ (1893), **ედგარ პოს** სახელგანთქმული „ყორანი“ (1906), **ანატოლ კრემლიოვის** „საქართველოს ოცნება“ (1906), რუსული ფოლკლორის მშვენიერი ნიმუში „სტენკა რაზინი და მისი სატრფო“, „ქალის მთა“ (1909), **ლერმონტოვის** „დემონი“ („ქაჯის“ სახელწოდებით, (1896), **ფრიდრიხ შილერის** ტრაგედია „ორლეანელი ქალი“ (1904-1905), მოთხრობები „ფეოდალის აღზრდა“, „მზითვის ლანგარი“, **ოსტროვსკისა** და **სოლოვიოვის** კომედია „ბედნიერი დღე“ (1881), **ლუდვიგ ბერნეს** „პარიზული წერილების“ ნაწილი, ალბათ ზოგიერთი სხვა რამ, რაც მისაკვლევი და აღმოსაჩენია.

ვაჟას ბრწყინვალე კრიტიკულ-პუბლიცისტურმა წერილებმა ნათლად გვიჩვენეს, რომ დიდი პოეტი ღრმად დაკვირვებული მოაზროვნე იყო. ვაჟას ფილოსოფიურ იდეათა სამყაროში ისეთივე **მატერიალიზმია,** როგორიც მე-19 საუკუნის ქართველ **რეალისტთა** ნააზრევში. მთელი ხილული ბუნება ვაჟასათვის **მატერიალურია** და მის კანონებს როცა წარმოადგენს, ხედავს **წინაღმდეგობათა** დაუსრულებელ რიგს, მოვლენეთა განვითარების **დიალექტიკურ** წესს, ამავე დროს „ენებათა იგივეობას“, მიაჩნია, რომ „გამეორება არ მოხდეს, ისე ვერ გარდაიქმნება ადამიანის სიცოცხლე და მასთან მთელი ბუნება“. შინაგანი ძალით, იმანენტური კანონებით ბუნება **მბრძანებელიც** არის და თავისივე თავის **მონაც.** აქვეა მისი წესრიგი, რომ ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და იმ კანონს ემორჩილება, რომლის ძალითაც:

„ხევი მთას ემონებს, მთა — ხევსა,
წყალნი — ტყეს, ტყენი —
მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ“.

კიდევაც რომ მოვნახოთ ვაჟას ფილოსოფიურ იდეებში ნარჩენები **იდეალისტური** თვალთახედვისა, მთლიანად მისი კონცეპცია **მატერიალისტურია,** მცნობი ბუნების არაერთი **დიალექტიკური** წესისა, რაც სავსებით კანონზომიერია: ვაჟა ახალგაზრდობიდანვე სწავლობდა **სპინოზას** ფილოსოფიას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ებრძოდა **ნიცშეს** ავადმყოფურ დოქტრინას.

ამ ბრძოლაში ვაჟა ყოველთვის შეუპოვარ ნებისყოფას იჩენდა. სიმართლე, პირდაპირობა, ობიექტურობა — ყოველთვის იყო ვაჟა-ფშაველას — პოეტისა და მოქალაქის პირველთვისებათაგანი.

ვაჟა თვითონვე იყო „მშობელი ქვეყნის მოზარე“, და მისი პოეტური ზარების გუგუნი მართლაც უცნაური ძალით ეფინებოდა მთელ ერს, მთელ საქართველოს, ხოლო დღეს, საზღვრებს გაცდენილი, მოესმის მთელ კაცობრიობას, მთელ მსოფლიოს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მას ვუწოდოთ მსოფლიო მწერალი, პირველი ქართველი პოეტი, რომელსაც **რუსთაველის** შემდეგ წილად ხვდა ახალ პოეტურ კაპიტოლიუმზე მსოფლიოს ხალხთაგან უკვდავების დაფნის გვირგვინი მიეღო. და ეს სავსებით ბუნებრივია. **ვაჟას** შემოქმედება უკვდავებასთან ჭიდილში დაიბადა. ეს იყო ტიტანის გაბრძოლება ტიტანთან, შემოქმედებითი წვა და ანთება. და ვაჟამ იცოდა, რომ მგოსანს „თუ მადლი გამოელია“, მისთვის ეს ჯოჯოხეთში ჩავარდნის ნიშნავს. ვაჟას პოეტური მადლი არასოდეს დაჰკლებია, მაგრამ უკვდავებასთან ჭიდილში მის წინაშე აღმართული იყო ისეთივე დაბრკოლება, როგორიც თვით ვაჟას ბრწყინვალე ლირიკულ ლექსშია აღწერილი:

„გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.
მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალოს მდინარეს“.

ეს იყო იმდროინდელი ცხოვრების შავი მდინარე, რომელმაც მაშინ ოლიმპის მწვერვალისაკენ მიმავალი ვაჟა შუა გზაზე შეაჩერა. მაგრამ დაინგრა ძველი ცხოვრება, მოიხსნა დიდებისაკენ მიმავალი ჯაბირები და ჩვენმა დრომ თვალუწვდენ მწვერვალზე ასტყორცნა ვაჟა, რომელიც ყოველთვის გრძნობდა რაღაც უხილავ კავშირს უკვდავებასთან, თავისი მოწოდების არაჩვეულებრივ მასშტაბებს და თითქოს ცხოვრებას ეუბნებოდა:

„მე შენის ტრფობით ვერ გავძელ,
შენ — ჩემის სიძულვილითა...
. . . . . .
უცვლელი ვრჩები მაინც
ჩემის წადილით დიდითა,
სამყაროს იქით რომ მიდის,
მომაკვდავთ განა იცითა?!“

ამ კოსმოსური ჭვრეტით საკუთარ ძალებში დარწმუნებული და საკუთარ ძალებზე ამაღლებული ვაჟას პოეტური გენია მეტყველებს. ამავე გენიით დაიწერა ვაჟას პროზაული შედევრები, კრიტიკულ - ეთნოგრაფიული წერილები, რომლებმაც ნათელი მოჰფინეს დიდი პოეტის ერუდიციას და ხელი შეუწყეს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უსაფუძვლო მითების გაფანტვას. ჩვენ უკვე წინასწარმეტყველურად გვეუბნის ნახევარი საუკუნის წინათ პოეტის მიერ შავი ფიქრებისადმი ნათქვამი სიტყვები:

„ჯერ ცოცხალი ვარ ისევა —
ძალ-ღონეცა მაქვს მრავლადა...
. . . . . .
თქვენ ჩემთან ხელი არა გაქვთ,—
შემოხილი ვარ ნათელით“.

ვაჟა მართლაც ცოცხალია, ძალ-ღონეც მრავლად შეუძენია, შავი ფიქრები განუფანტავს და დღეს ამ დიდი ნათელით შემოსილი დგას ჩვენს წინაშე, საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ადამიანების, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანთა წინაშე; დგას ვაჟა-ფშაველა, ქართული პოეტური გენია, პოეზიის სინდისი და მორალი, აზრი და გრძნობა, დგას, როგორც ყაზბეგის ამაყი სპეტაკი მწვერვალი, და ამავე ნათელით, ამავე შარავანდედ

ჩემო სამშობლო მხარეო!

1961 ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კულტურის მშვენება და სიამაყე

(დასასრული)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ თ. პ. ბუაჩიძემ წაიკითხა მისასალმებელი დეპეშა, რომელიც მოვიდა გამოჩენილი საბჭოთა მწერლის მ. ა. შოლოხოვისაგან. შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ მისალმების გულითად სიტყვებს.

საქართველოს მწერლების — იუბილარის შემკვიდრეების სახელით სიტყვა ეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძეს.

იმ მრავალ დღესასწაულთა შორის, რომლებიც ოდესმე აღუნიშნავს ქართველ ხალხს, — ამბობს იგი, — ვაჟა-ფშაველას იუბილე ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავია. და ეს იმიტომ, რომ ვაჟა არის ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი, ჩვენი ხალხის აზრების, მისი ხასიათის განმასხვავებელი ნიშნების საუკეთესო გამომხატველი.

ეს დღესასწაული აგვამაღლებს, აღგვაფრთოვანებს ჩვენ, მწერლებს, ახალ შემოქმედებითს ძალებს გვმატებს, რადგან ვხედავთ, თუ რა დიდად აფასებს ჩვენი ხალხი მწერლის შრომას, როგორ უყვართ საბჭოთა ადამიანებს ლიტერატურა. ქართველი ლიტერატორები ყოველთვის ღირსეული წარმომადგენლები იქნებიან იმ შესანიშნავი სამწერლო კულტურისა, რომლის ერთ-ერთი უაღრესად თვალსაჩინო ფიგურა იყო ვაჟა-ფშაველა. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ეროვნული ლიტერატურის ამ კორიფეს ანდერძის ერთგულნი, სიმართლით ვემსახურებით შშობლიურ ხალხს.

გამოდის ბელორუსი მწერალი ს. გრაფოვსკი. მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა, მუშებმა და კოლმეურნეებმა, ბელორუს მკითხველთა მთელმა მრავალმილიონიანმა არმიამ, თქვა მან, დამაკავშირა გულითადად მიგესალმო მოძმე ქართველ ხალხს და მივულოცო მას დიდმნიშვნელოვანი იუბილე. ვაჟა-ფშაველას უკვდავების, საბჭოთა ხალხის მრავალეროვნულ კულტურაში მისი წვლილის დამსახურებული აღიარებაა ის ფაქტი, რომ პოეტს იუბილეს თანაბარი სიყვარულით აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ისევე როგორც ერთად აღნიშნეს მათ პუშკინისა და გორკის, შევჩენკოს და კუბალას, აბაისა და ახუნდოვის საიუბილეო თარიღები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ე. ხარაძე გამოდის ქართველი ინტელიგენციის სახელით. ქართული მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატთა შორის, აბმობს იგი, ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ათობით წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან თავისი ნაწარმოებები შექმნა, მისი ვაჟკაცური პოეზია კვლავ წინანდებური ძალით ძღერს.

— ჩვენი ხალხების ბედი ისე წარმართა. — ამბობს აზერბაიჯანელი მწერალი მ. იბრაჰიმოვი, — რომ ჩვენ განუყრელი ძმები ვიყავით მრისხანე განსაცდელის დროსაც და უსაზღვრო სიხარულის დროსაც.

საქართველო ზღაპრული სილამაზის ქვეყანაა, განაგრძობს მ. იბრაჰიმოვი. მაგრამ მის ნამდვილ სილამაზეს, მის საუცხოო სულიერ სამყაროს საქართველოს ნიჭიერი მწერლები გვიჩვენებენ. ერთ-ერთი მათგანი, ვის შემოქმედებაშიც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს საქართველოს, მისი შესანიშნავი ხალხის სილამაზე, არის ვაჟა-ფშაველა, რომლის შემოქმედება ღრმად არის გამსჭვალული პატრიოტიზმით, მშობლიური მხარის სიყვარულითა და მისდამი ერთგულებით.

აზერბაიჯანელ სტუმარს ცელის მეორე მეზობელი რესპუბლიკის ლიტერატურული საზოგადოებრიობის წარმომადგენელი — სომეხი პოეტი რ. ოვანესიანი. მან თავისი გამოსვლა მიუძღვნა ამიერკავკასიის ხალხების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმურ ურღვევ მეგობრობას, რომელსაც უმღეროდნენ დაავიარებდნენ ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილები.

უზბეკი მწერლების სახელით გამოვიდა პოეტი ა. ბაბაჯანი. საზეიმო სხდომის მონაწილეთ მან უძღვნა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ეს-ეს არის გამოსულა უზბეკურ ენაზე.

ლატვიელმა მწერალმა მ. რუძიტისმა თავისი გამოსვლა დაიწყო ვაჟა-ფშაველას ცნობილი სიტყვებით: „ვინც აწმყოს კეთილსინდისიერად ემსახურება, იგი დიდებულ მომავალსა ქმნის; ვინც ბევრს ხნავს და თესავს, იმას ბევრი პური მოსდის“.

ტრიბუნაზეა თურქმენი მწერალი ტ. ესენოვა.

იგი ამბობს: დღეს, როცა ქართველი ძმები დღესასწაულობენ თავიანთი დიდი კულტურის გამოჩენილი წარმომადგენლის, პოეტისა და პროზაიკოსის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავს, ჩვენში შორეულ თურქმენეთში ყველას პირზე აკერია მისი სახელი. თურქმენი ინტელიგენცია, მუშები და კოლმეურნეები, თავიანთ დედაენაზე კითხულობენ ვაჟა-ფშაველას ბევრ ლექსსა და მოთხრობას.

—ქართველი ხალხის სახელგანოქმული მგოსნის ვაჟა-ფშაველას ცხოვრება განუყოფლად დაკავშირებულია თეთრთან, — თქვა ყირგიზმა მწერალმა ს. ჯუსუევმა. ვაჟა დაიბადა მთის სოფელ ჩარგალში, ესმოდა მთის მღინარეთა ხმაური, ტკბებოდა ცაში მცურავი ღრუბლების ცქერით, უმღეროდა თეთრეთა შრომით ცხოვრებას, აღტაცებული იყო მთის არწივის ფრენით. ხალხმა ტყუილად როდი შეადარა თავისი საყვარელი მგოსანი ამ ამაყ ფრინველს. მან დიდი გმირობა ჩაიდინა — მთის არწივივით ავიდა პოეტურ მწვერვალზე.

მოლდავეთის სსრ მწერალთა და მშრომელთა გულითადი სალამი გადასცა საიუბილეო ზეიმის მონაწილეთ და მთელ ქართველ ხალხს ამ რესპუბლიკის თვალსაჩინო ლიტერატორმა პ. ზადეპროვმა.

— ვაჟა-ფშაველა დაღესტნელ მკითხველთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მწერალია, — ამბობს ი. ხალალაევი. — და ეს იმიტომ, რომ მისი გულშიჩამწვდომი ნაწარმოებები ღრმად ასახავენ ყოველივე იმას, რაც ესოდენ ძვირფასი და წმიდაა ყოველი მთიელისათვის.

შეკრებილთ ყაბარდო-ბალყარეთის მწერალთა სახელით გულითადად მიესალმა ა. ზომახოვი, ადიღეს მწერალთა სახელით — ი. ტლეუსტენი.

პოეტმა ი. ნონეშვილმა წაიკითხა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ლექსი. შეკრებილნი მიესალმნენ ვაჟა-ფშაველას შვილს — ვახტანგ რაზიკაშვილს. მან მღელვარედ წაიკითხა მამისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

საზეიმო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ვაჟა ფშაველას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო მოძმე საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილ დღესასწაულად იქცა.

• • •

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის საქართველოს ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა ძალებით დიდი კონცერტი გაიმართა. (საქდესი).



ვაჟა-ფშაველა

ჩემის კაცობის გვირგვინო

ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიყარეო.
არ მიმეფარო თვალთაგან,
დამიცევ, დამიფარეო.
ბევრს ტანჯვას გამოვლილი ვარ,
ბევრი დღე ვნახე მწარეო.
არ დაიმალვის, როგორც მზე,
რაც მე ცრემლები ვღვარეო.
ის მოიგონე, მაინცა,
ბეჩავო არე-მარეო!
ჩემს ცრემლს უბეში ინახავ,
ვიცი, სამშობლოს მთვარეო;
არ მიღალატო, ოცნებავ,
მნახოდი მალე-მალეო.
კი არ შემომწყრე, მიმუხთლო,
იარო გარე-გარეო.
თუ ამას იზამ, წინა დღით
საფლავი გამითხარეო.
მოვკვდე, კაცთ ხელი მერიდოს.
ოცნებავ, დაგიბარეო:
შენ მნახე, შენა, მარტო შენ,
გულს მიწა მომაყარეო.

(მარტი, 1910 წ.)

საიუბილეო გამოფენა

იგი იყო უბრალო, მშრომელი, ისეთივე, როგორიც იყო ყველა მთიული, მისი თანამემამულენი — შთამომავლობითი მხვნელ-მთესველები, მესაქონლეები, მეომრები.

სწორედ ასეთი — უბრალო, მშრომელი და ლიტერატურის დიდი ოსტატი წარმოუდგება ვაჟა-ფშაველა მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის დამთვალიერებელს. გამოფენა, რომელიც რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმმა მოაწყეს პოეტის დაბადების 100 წლისთავის გამო, გაიხსნა საქართველოს სამხატვრო გალერეაში.

გუშინ გამოფენის გახსნაზე შეიკრიბნენ მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები, მწერლები, კულტურის მოღვაწეები, სტუმრები.

რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ჯიბლაძემ გადაჭრა წითელი ლენტი და მიიწვია შეკრებილნი დათვალიერონ გამოფენის ექსპონატები.

გამოფენა იხსნება მასალებით ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ. აქ არის მისი ნაწარმოებების ტომები, ლიტერატურა ვაჟას შემოქმედების შესახებ. ერთ-ერთ განყოფილებაში წარმოდგენილია პოეტის ნაწარმოებები, რომლებიც გამოიცა რუსულ, სომხურ, ოსურ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა

ჩემი ცხოვრება

ეს ავტობიოგრაფია ვაჟა-ფშაველამ 1907 წელს დაწერა. ეს ავტობიოგრაფია ეძღვნებოდა ბ. ბ. ბოგდანოვიჩს, ეს ავტობიოგრაფია ბ. ბ. ბოგდანოვიჩ-ს ეგზემპლარზე ეწერა.

წიგნი, რომელიც დაწერა შენთვის

მთებს და ჭიუხებს შესტრფოდა იგი,
ესმოდა ენა მათი წკრიალა,
აი ეს დიდი ბუნების წიგნი
ვაჟამ დასწერა, კალმით კი არა,

ფანქრით კი არა, საკუთარ სისხლით,
საკუთარ გულის ფერით მოქარგა,
მთები, მდინარე, პირიმზე, ნისლი
აამეტყველა, ვით ჯადოქარმა.

ცასთან ახლო და კლდეებთან ახლო
იცხოვრა ისე, როგორც არწივმა.
სიცოცხლე მისი, ო, ჩემო ხალხო,
იყო გმირობა და თავგანწირვა!

ვით საქართველოს ყველა რჩეული,
შენზე და ქვეყნის ბედზე ჰყიოდა.
ჭრილობა ჰქონდა გულს დაჩნეული,
სტკიოდა, მერე როგორ სტკიოდა!

ცაზე შენეულ ვარსკვლავებს თვლიდა
და განაცვალა ფიქრი ურიცხვი.
უკვდავი განძი მოჰქონდა მთიდან
შენთან და მხოლოდ შენი გულისთვის.

შენთვისღა რეკდა დიდების ზარებს,
შენ იყავ მისი მზეცა და ღმერთიც,
მიტომ გადასცდა სამშობლოს კარებს
წიგნი, რომელიც დაწერა შენთვის!

ხუტა ბერულავა.

საგასტროლოდ თბილისში

26 ივლისს თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა ლვოვის საბჭოთა არმიის რუსული დრამატული თეატრი. ვაგზალზე ძვირფას სტუმრებს შეხვდნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, თეატრის მოღვაწეები, ხელოვნების მუშაკები, სამხედრო მოსამსახურეები, - პიონერები.

თეატრის კოლექტივს მიესალმა კულტურის სამინისტროს დრამატული თეატრების განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. გვინჩიძე. გულთბილად მიესალმნენ სტუმრებს პიონერები.

ლვოვის თეატრის მთავარმა რეჟისორმა ვ. ლიზოგუბმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა ის დიდი შემოქმედებითი მღელვარება და აღმავლობა, რომელსაც თეატრის კოლექტივი განიცდის საქართველოს დედაქალაქში გასტროლების წინ, რომელიც სახელგანთქმულია თავისი თვალსაჩინო თეატრალური კულტურით. მან საქართველოს და თბილისის მშრომელებს გადასცა თეატრალური ლვოვის, ქალაქის მშრომელთა და კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის მხურვალე სალამი, მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

ლვოვის თეატრის კოლექტივი უჩვენებს თავის ხელოვნებას

ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრი 30 წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე მისი კოლექტივი ერთ-ერთი წამყვანი გახდა უკრაინაში. თეატრის რეპერტუარშია მსოფლიო დრამატურგიის კლასიკოსთა ნაწარმოებები და საბჭოთა და საზღვარგარეთელი ავტორების საუკეთესო თანამედროვე პიესები. კოლექტივში შთაგონებით შრომობენ უკრაინის სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ა. არკადიევი, ა. მაქსიმოვი, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ზ. დეხტიარევა, ს. ხარჩენკო, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ა. დუნაევი, ვ. კანცელი და სხვები. თეატრში 45 მსახიობია.

თბილისში სტუმრები უჩვენებენ თავიანთ 7 საუკეთესო დადგმას: ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორიას", ა. სალინსკის „შედოლეს", ა. კ. ტოლსტოის „მეფე თეოდორე იოანეს-ძეს", ა. შტეინის „ოკეანეს" და სხვ. თეატრი გამსვლელ სპექტაკლებს გამართავს რუსთავში, გორში, ბორჯომში, სტალინირსა და მცხეთაში.

ჯარის ნაწილების მომსახურებისათვის თეატრმა ჩამოიტანა სპეციალური დადგმები: კ. რაპოპორტის „გავიდა 15 წელი", ა. მაკაენოკის „ლევანისა ორბიტაზე".

თეატრის გასტროლები ჩვენს რესპუბლიკაში ერთ თვეს გასტანს. პირველ სპექტაკლს უჩვენებს 29 ივლისს.

ლვოვის საბჭოთა არმიის თეატრი მესამე კოლექტივია, რომელიც საგასტროლოდ ჩამოვიდა ლვოვიდან საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე.

(საქდესი).

* * *

სურათზე: ლვოვის დრამატული თეატრის მსახიობთა ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ქვაში ნაკვეთი სიცოცხლე

ვაჟა სიცოცხლეშივე გადაიზარდა მითში. ვაჟა ახალი დროის ჰომეროსი იყო... ვაჟას ფიქრისა და პოეტური სუნთქვის ნაკვალევი ჩვენი ქვეყნის სულიერი ყოფის ყველა სფეროს დაეტყო. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ყველაზე ნაკლებ ჩანს თავის თანადროულ ქართულ სახვითს ხელოვნებაში.

მხოლოდ ქართულ საბჭოთა მხატვრობაში ჰპოვა ვაჟამ თავისი ადგილი. ამაზე ადრე ვაჟას დასურათების პირველი ცდა ახალი ქართული გრაფიკის ბრწყინვალე წარმომადგენელს ანტონ გოგიაშვილს ეკუთვნოდა.

ერთ-ერთი საარქივო მასალის მიხედვით ირკვევა, რომ დაახლოებით 1895-1900 წლებში აწინდელ ვეძინის ქუჩაზე № 21, სადაც ამჟამად ორსართულიანი შუშაბანდიანი სახლია, გოგიაშვილების ბინაში დროგამოშვებით დადიოდა და ცხოვრობდა ვაჟა. იმჟამად გოგიაშვილებთან მუდმივად ცხოვრობდა ვაჟას ვაჟი ლევანიც. ვაჟა პირველად ამ ოჯახში შეხვედრია ცნობილ რევოლუციონერ ალიოშა ჯაფარიძეს.

ი. იმედაშვილის გადმოცემით, სწორედ ამ სახლში შეუქმნია გოგიაშვილს ვაჟას თანდასწრებით „ბახტრიონის" ილუსტრაციები. აქვე ყოფილა შერჩეული და დადგენილი ილუსტრაციების კომპოზიციები თუ სიუჟეტები. ეს ილუსტრაციები დაიბეჭდა ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის" 1897 წლის გამოცემაში. ანტონი შემდეგაც დაუბრუნდა „ბახტრიონის" თემას და „მშობლიური კერის დაცვის სახელწოდებით" შექმნა მეტად საინტერესო კომპოზიცია.

ქართველ მხატვართა შემოქმედებაში ვაჟამ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში დიაკავა სათანადო ადგილი. საქართველოს სამხატვრო აკადემიაში აღზრდილმა მხატვრებმა იგი თავიანთი შემოქმედების შთამაგონებელ წყაროდ აქციეს. ამ ნაკლებზე დიდი სიყვარულით მუშაობენ ჩვენი სტუდენტები და დიპლომანტებიც. აკადემიაში შეიქმნა ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა თუ კერამიკის არა ერთი და ორი საყურადღებო ნიმუში.

ბევრმა ქართველმა მხატვარმა მიუძღვნა ვაჟას ცხოვრებას და შემოქმედებას თავისი ნაწარმოებები. ამ წერილში ჩვენ გვსურს მკითხველს გავაცნოთ მხოლოდ ერთი მხატვრის სახვითი სიუჟეტა.

ორი-სამი წლის წინათ ახალგაზრდა მოქანდაკის დიმიტრი ყიფშიძის სახელოსნოს ვესტიბიულო. გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი „მე და ღამის" სანახაობა. სწორედ მაშინ გვიჩვენა დ. ყიფშიძემ ვაჟას ქანდაკების ესკიზი. იგი ძალზე საკულტურული, მონუმენტური იყო. მასში ჩანდა ვაჟას შემოქმედების თვისებურების გაგების სწორი ტენდენცია.

საქართველოს უნივერსიტეტის ანსამბლთან გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ვაჟას ძეგლისათვის დასადგმელ ყველაზე შესაფერ ადგილად უნივერსიტეტის ეზოს ის ნაწილი უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომელიც კონცხის სახით გადაჰყურებს გმირთა მოედანს.

ადგილი ყოველი მხრიდან, შორიდან თუ ახლოდან, კარგად ჩანს, შესანიშნავად შეჩამებულია ძეგლის მონუმენტურ გაჯარებასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟა-ფშაველას სიცოცხლის უკანასკნელი დღეები სწორედ უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის იმ ფანჯრებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ამ მხარეს გადასცქერის.

ჩანაფიქრის მიხედვით აქ ვაჟას ფიგურა კონცხის ბოლოზე უნდა აღიმართოს იმ ადგილას, სადაც ამჟამად დგას მაღალი ძაბვის ანძა, ძეგლს მისასვლელი ექნება წინა მხრიდან, მოედნიდან, საკმაოდ დაფერდებული კიბის სახით.

ფიგურის გააზრებას საფუძვლად დაედება ვაჟას მოთხრობა „როგორ გაჩნდნენ ქვეყანაზე ბუები". ვაჟას ფიგურა, ამოზიდული კლდეებიდან, ნაბადში გახვეული, მის წინ გაქანებული ვეფხვი ზედმიწევნით მხატვრულად წარმოგვიდგენს ქართული პოეზიის ტიტანს, მოედნიდან მონიმენტამდე ვაჟას ნაწარმოებთა გმირების თემაზე ორივე მხარეს უნდა აღიმართოს ქანდაკებათა ხეივანი. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერჯერობით ქმნადობის პროცესშია და განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე.

სურათზე: — „მოგესალმებით ქედბო" მოქანდაკე დ. ყიფშიძე

* * *

ამ დიდი ეპიკურ-მონუმენტური თემის პარალელურად ახალგაზრდა მხატვარმა დაამუშავა ვაჟას მონუმენტის მეორე თემაც — მონუმენტი შემაღლებულ ღია ადგილზე დასადგმელად. ასეთი ადგილები ხომ ძრავლად მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და თვით ვაჟას სამშობლო სოფელში. ამ კომპოზიციაში მოქანდაკემ ნამდვილად შეძლო ვაჟას ფიგურის საინტერესო გააზრება. ჩვეულ ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟას ფიგურა წარმოდგენილია რამდენადმე სტილიზებულად, ფიგურა ვაჟაკაცური, ჰუმანური, ძლიერი და მოუდრეკელია.

ყიფშიძის ვაჟა ხალხის გენია და ფიქრია, აქ ვაჟა ბრძენია და მისანი, მომავლის მკურნალი.

ყურადღებას იქცევს ვაჟას პორტრეტი, რომელიც შექმნილია ამ ფიგურისათვის. მოქანდაკემ მოგვცა კეთილშობილი პიროვნების სახე, რაღაც ამირანისეული. გაკერძოთ, რომ ასეთ ადამიანს მართლაც შეეძლებოდა ხეთა და ტყეებისა, ყვავილთა და ფრინველთა, მდინარეთა და ვარსკვლავთა გასაუბრება.

მ. ყიფშიძისეე ეკუთვნის მეტად საინტერესო ქანდაკება ვაჟას ლექსის „არწივი ვნახე დაჭრილი" თემაზე. მისი არწივი ფრთაჩამოგდებულია, მაგრამ მაინც ბრძოლისთვის მზადყოფნი.

დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სახვითი სიუჟეტი შესანიშნავად გვაჩვენებს არა მარტო ახალგაზრდა მხატვრის ღიდ სიყვარულს და მწერლის გაგებას, არამედ ქართული მხატვრობის მაღალ დონესა და სიღრმესაც. ეს სიუჟეტი ფართო საზოგადოების ყურადღებისა და მხარდაჭერის ღირსია.

შალვა კვასხვაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ოქტომბერი

ზინ არიან საბჭოთა მოჭადრაკეები

ჰელსინკში გრძელდება მსოფლიოს გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში სტუდენტთა შორის.

26 ივლისამდე გათამაშდა 8 ტური. მე-7 ტურში გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის გუნდების მატჩის ანგარიში გახდა 2,5:1,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ამერიკელ მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ფინეთის გუნდი 3,5:0,5, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის შედეგი 2,5:1,5, პირველის სასარგებლოდ.

მეოვე ტურში საბჭოთა გუნდმა მოუგო უნგრელ მოჭადრაკეებს 3,5:0,5.

რვა ტურის შემდეგ წინ არის სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც 27 ქულა აქვს 32-დან. მეორე და მესამე ადგილებს იყოფენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომლებსაც ოც-ოცი ქულა აქვთ 28-დან.

მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში

ტურინში დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება დაშნით ბრძოლაში. აქ ერთმანეთს ეცილებოდა 22 ქვეყნის ასამდე სპორტსმენი. მათ შორის იყვნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები — მსოფლიოს ჩემპიონი ხაბაროვი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი კოტაკი, ჩერნუშევიჩი, ჩერნიკოვი და ლუკინი.

მერვედფინალში მოულოდნელი დამარცხება განიცადა კოტაკამ და გავიდა ბრძოლიდან. ფინალური შეხვედრები მოეწყო 25 ივლისს გვიან საღამოს. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და მასთან ერთად ოქროს მედალი დაშნით ბრძოლაში ხვდა ფრანგ სპორტსმენს ქაკგიუტეს. საბჭოთა სპორტსმენმა ბ. ხაბაროვმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

გუშინ დაიწყო შეჯიბრება ხმლით ბრძოლაში.

საერთაშორისო მატჩი

საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფება პრაღის „სლავიას" კალათბურთელ ვაჟთა საკლუბო გუნდი. გუშინ „სლავიას" გუნდი რიგაში შეხვდა ვეფს და წაგო მატჩი. ანგარიშით 34:64.

ორი „ტორპედოს" დამარცხება

გუშინ მოსკოვში შედგა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები—„ტორპედო" და „ლოკომოტივი". შეჯიბრების შედეგი 1:0 ლოკომოტიველთა სასარგებლოდ.

ყარაგანდაში გაიმართა „ბ" კლასის გუნდების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. ადგილობრივი „შახტიორი" თამაშობდა რესპუბლიკათა პირველი ზონის ლიდერის — ქუთაისის „ტორპედოს" წინააღმდეგ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:0.

„საქართველოს კომუნისტი" №7

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის" მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — პარტიული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები, **რ. წულუკიძე** — ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს, **ვ. აბაშმაძე** — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარება კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად, **მ. გოგიჩაიშვილი** — პოლიტიკური განათლების ახალი აღმავლობისათვის, **ვ. ჯაფელი** — პარტიული ორგანიზაციები საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში, **ვ. კაჭარავა** — მეტი ყურადღება ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას, **დ. ბენაშვილი** — ვაჟა-ფშაველა და სხვ.

ალვარეს დელ ვაიო თბილისში

26 ივლისს ბაქოდან თბილისს ჩამოვიდა პროგრესული ესპანელი პუბლიცისტი ალვარეს დელ ვაიო მეუღლეთურთ. ესპანეთში ფაშისტური აბმბეგბისა და იტალია-გერმანიის ინტერვენციის დროს 1936-1939 წლებში იგი რესპუბლიკური მთავრობის, საგარეო საქმეთა მინისტრი და მთავარი სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელი იყო.

ალვარეს დელ ვაიო მოგზაურობს საბჭოთა კავშირში, აგროვებს მასალას წიგნისათვის საბჭოთა მიწა-წყალზე მომხდარ, დიდებულ საგმირო საქმეთა შესახებ, რომლებიც მოხდა შვიდწლედის მძლავრი წინსვლის შესახებ.

ალვარეს დელ ვაიოს ვაგზალში შეხვდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წარმომადგენლები.

სტუმარს განზრახული აქვს რესპუბლიკაში დარჩეს ხუთ დღეს, გაეცნოს სახალხო მეურნეობას და კულტურას, ღირსშესანიშნავ ადგილებს. (საქდესი).

ი. გაგარინი ჰავანაში

ჰავანა, 25 ივლისი. (საკდესი). ჰავანა დიდი ხანია ემზადებოდა იური გაგარინის შესახვედრად. 26 ივლისის რევოლუციური დღესასწაულის წინ, რომლის გამო ზეიმში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს პირველი კოსმონავტი, კუბის დედაქალაქი გაფერადებულია ნაირფერად. ქალაქის სადღესასწაულო მორთვაში საპატიო ადგილი უკავია იური გაგარინის პორტრეტებს, საბჭოთა კავშირის ალმებს.

გუშინ დილიდან ათასობით ჰავანელი იკრიბებოდა ქუჩებში, რომლებზეც უნდა გაევლო აეროდრომიდან საბჭოთა სტუმრის. ქალაქიდან ხოსე მარტის აეროპორტამდე ორივე მხარეს გზატკეცილის თითქმის 20 კილომეტრ მონაკვეთზე ჩამწკრივებული იყო სახალხო მილიცია. ცაში ასრიალდა კოსმოსური რაკეტების გიგანტური მაკეტები, რომლებსაც ჰქონდათ წარწერა „სსრ".

ნაშუადღვის ორი საათისათვის ხოსე მარტის აეროდრომზე მივიდნენ კუბის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, კუბის მთავრობის წევრები.

აეროპორტის შენობაზეა იური გაგარინის დიდი პორტრეტი, საბჭოთა კავშირისა და კუბის სახელმწიფო ალმები. უზარმაზარ ქსოვილს რუსულ და ესპანურ ენებზე აწერია — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გაგარინ"!

თვითმფრინავი „ილ-18" მიწაზე დაეშვა.

იური გაგარინი გულთბილად მიესალმება, ეხვევა ოსვალდო დორტიკოსს, ფიდელ კასტროს.

იური გაგარინის შეხვედრისას შეასრულეს კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომიდან იური გაგარინი წავიდა ყვავილების გირლანდებით მორთული ღია მანქანით ოსვალდო დორტიკოსთან და ფიდელ კასტროსთან ერთად. მოტოციკლეტების სამაგალითო ესკორტი ასდევდა. ახლოდ საღღესასწაულო პროცესიას მთელ გზაზე ჰავანამდე, კუბის დედაქალაქის ქუჩებზე და ბულვარებზე იური გაგარინისათვის გამოყოფილ რეზიდენციამდე.

გუშინ საღამოს პრეზიდენტის სასახლეში დარბაზობა გაიმართა პირველი საბჭოთა კოსმონავტის იური გაგარინის პატივსაცემად.

ფეიერობს კუბა

ჰავანა, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს ჰავანაში დაიწყო კუბის რევოლუციური დღესასწაულის — 26 ივლისისადმი მიძღვნილი ზეიმი. აღრე დილიდან ჰავანის უდიდეს მოედანზე წავიდა ათასობით კუბელი. აქ გაიმართა სამოცდათუთმეტი ათასი ფიზკულტურელის პარადი და გამოსვლები.

მთავრობის ტრიბუნებზე ხოსე მარტის ძეგლ-მონუმენტის კვარცხლბეკთან იყვნენ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, მთავრობის წევრები. მათთან ერთად იყო კოსმონავტი იური გაგარინი, რომელსაც კუბელები მეუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ჭაკნაპარა ლონდონში

ლონდონი, 24 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზიდან ლონდონს ჩამოვიდა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, რომელსაც ახლავან შტატების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარე გენერალი ლემნიტცერი და თავდაცვის მინისტრის თანაშემწე ნიტცე.

პრესა აღნიშნავს, რომ ამერიკის მინისტრის ჩამოსვლის მთავარი მიზანია მიაღწიოს იმას, რომ ინგლისმა კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ომის ფსიქოზისა და დაძაბულობის გაღვივებაში ევროპაში ეგრეთწოდებულ დასავლეთ ბერლინის საკითხთან დაკავშირებით.

საერთაშორისო დეკენტური ცხოვრება

გიზერტა გრძოლების შემდეგ

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის რ. დელის ცნობა ბიზერტის ვითარების შესახებ სისხლისღვრის შემდეგ.

„ამჟამად, — წერს დელი, — ბრძოლა ბიზერტაში შეწყდა... ხდება დახოცილთა დაკრძალვა, დიპლომატები აწარმოებენ მოლაპარაკებას.

უცხოელს, რომელსაც საბუთები წესრიგზე აქვს, შეუძლია რამდენიც უნდა იხეტიალოს დაბრეულ, დამწუხრებულ ქალაქში. და როცა ამ ქალაქში დახეტიალობს, მას ეუფლება საშინელების გრძნობა. ფრანგების რეაგირება კრიზისზე ბიზერტის სამხედრო-საზღვაო ბაზასთან დაკავშირებით არაჩვეულებრივად სასტიკი იყო. ამ სასასტიკეს მოწმობს ყუმბარების ნამსხვრევებით დახეთქილი ქუდლები, ჩამტვრეული მინები, მეჩეთები, რომლებიც ჯერ კიდევ იწვის. ამას მოწმობს მონაცემებიც დახოცილთა შესახებ: 670 ტუნისელი და 30 ფრანგი...

ეჭვს არ იწვევს, რომ ბევრ ფრანგ ოფიცერს ტანჯავს თავისი დანაშაულის შეგნება. ექვსმა კაცმა მკითხა, როგორია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მათი მოქმედების შესახებო. სხვა ჯარისკაცებმა მთხოვეს გაზეთები მეჩვენებინა მათთვის.

ეს ხანმოკლე, გაფთრებული ომი წარუწყვეტელ შთაბეჭდილებას ტოვებს: მოკლული ტუნისელი კაფეს ტერასაზე, მაგიდები და სკამები, მიყრილი კედლთან; ხეები ბულვარის გაყოლებით, ხეებზე ჩამოტეხილი ჯერ კიდევ მწვანე შტოები ყრია ტროტუარებზე.

ფრანგმა ჯარისკაცებმა, შენიშნავს დასასრულ კორესპონდენტი, ბიზერტაში მოაწყეს ნამდვილი სასაკლაო ტუნისელებისათვის.

ჰამარშელდი ჯუნისში ჩავიდა

ტუნისი, 24 ივლისი. (საკდესი). პრეზიდენტ ბურგიბას თხოვნის შესაბამისად დღეს აქ ჩამოვიდა დაგ ჰამარშელდი, რათა ტუნისის ხელმძღვანელებთან ერთად განიხილოს მდგომარეობა, რომელიც შექმნა საფრანგეთის აგრესიამ ტუნისის წინააღმდეგ.

მეგობრობის ფორუმზე

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკდესი). საღამოს სხდომაზე ფორუმის მონაწილეებმა მოისმინეს იტალიის სტუდენტთა კავშირისა და ინდონეზიის ფორუმის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელთა მოხსენებები თემაზე „ახალგაზრდობა, ურთიერთგაგება, თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა".

კუბის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციათა წევრებმა წაიკითხეს კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოსვალდო დორტიკოსის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს მისალმებანი ფორუმისადმი.

სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს მიესალმნენ დედაქალაქის ყველაზე ნორჩი მცხოვრებნი — მოსკოველი პიონერები.

ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი განაგრძობს მუშაობას.

* * *

მოსკოვი. 25 ივლისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა ახალგაზრდობის მსოფლიო ფორუმი.

ფოტო ლ. პორტერისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).



ვაჟას უმღერიან

სახალხო ზეიმად იქცა ვაჟას საიუბილეო დღეები. როგორც მთის ნაკადულები ხეობაში მდინარეს ერთვიან, ისე იზრდება და დიდდება ხალხის სიყვარული თავისი დიდი მომღერლისადმი — ვაჟასადმი.

„კომუნისტის" რედაქციას მრავალი ლექსი გამოუგზავნეს ვაჟაზე როგორც პოეტებმა, ისე ხალხურმა მთქმელებმა, რიგიმმა მოქალაქეებმა, სტუდენტებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ. ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს გამოვაქვეყნოთ ყველა ავტორის ჩანაფიქრი და ამიტომ ვბეჭდავთ ზოგიერთის გულწრფელ სტრიქონებს:

ლექსიდან თვალს არ სცილდება,
ბალახის ნაზი ბიბინი.
მინდიას პოეტს დიდება,
ვაშა და დაფნის გვირგვინი.
ბიორგი ბრეგაძე
(თბილისი).

შორს გავარდნილა შენი სახელი
მსოფლიოს გასწვდა შენი გენია.
იქ მისწვდა შენი შუქი ნათელი,
სადაც არწივი ვერ შეწვდენია.
იოსებ ქართველიშვილი
(მაღაროსკარი).

ჩარგლულამ ძოძუ გაწოვა,
არხოტს ეხვივ უბეში,
ლაშრის გორაზე აფრინდი
სამშობლოს დიდი ნუგეში.
ელგუჯა სულთანიშვილი
(რუსთავი).

გიყვარდა დილა, ბალახზე
ცვარსა რომ გამოამძივებს.
ირმებს დასდევდი ხირიმით,
ბზრებზე ისვამდი არწივებს.
მირონ სურგულაძე
(თბილისი).

აამეტყველე ფოთოლი,
ყვავილი ჩამდგმელო სულისა.
დარიკო ჩოხელი
(ოელავი).

გულში აგვინთე ლექსი ქართული
და ჩაუქრობელ ვარსკვლავად
ბრწყინავს.
ტერენტი არჩუაშვილი
(წინანდალი).

ვეფხვი ხარ, გმირო ფშაველო,
ლომგულო, სალ კლდის არწივო.
ზვიადი მთების რაინდო
ლექსები გულში გვაწვიმო,
ჭიხვო, სპერხოს ნაზარდო,
ხოხობო ივრის ჭალისავ.
კაკაბო ბერმუხის მოძმეო,
ცრემლო ჭოყოლას თვალისავ,
მუხლით არაგვზე ძლიერო,
ბანის მომცემო თერგისავ,
რუ-ნაკადულის გალობავ,
ტბაფლო ხმავ ლერწმის ღერისავ.
ვიდრე ვიცოცხლებ, გადიდებ,
წინ მიდგას შენი აჩრდილი,
მუხლს ვიდრეკ, შენს წინ, ვაჟაო,
შენი ლექსებით აღზრდილი.
სიკო ჩანგაშვილი
(ხალხური მთქმელი).

ვაჟასადმი სიყვარულით შთაგონებული ლექსები მოაწოდეს რედაქციას შ. აფციაურმა, შ. ბეჟაურმა, ლ. ვარდანაშვილმა, გ. ბრეგვაძემ, ი. ნავრიზაშვილმა, ჯ. ნოზაძემ, ო. ისმაილოვმა, ქ. ლომიძემ, გ. მარცვალაშვილმა, გ. მიქავამ, დ. მჭედლურმა, ო. სახეიშვილმა, ბ. სვანიძემ, მ. სამხარაძემ, ი. ჩაფიძემ, დ. ხახიაშვილმა, გ. ხეთაგურმა, ა. ჩოხელიშვილმა, ვ. ხუციურაულმა გ. ჩახუნაშვილმა, მ. ფარულავამ, ი. ყანაშვილმა, მ. შიუკაშვილმა და სხვებმა.

რედაქციას ლექსი გამოუგზავნა აგრეთვე ვაჟას შვილიშვილმა ა. რაზიკაშვილმა, ლექსში ასეთი სტრიქონებია:

სამშობლოს გულის ცემა ხარ,
მტრისთვის გავარდნა მეხისა,
სიტყვის ხმა გიგავს ხმლის დაკვრას
და შეჯახებას ვეფხვისას.

ვაჟა-ფშაველას პროსპექტი თბილისში

დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავის გამო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, კომინტერნის ქუჩას ეწოდა ვაჟა-ფშაველას პროსპექტი (საქდესი).

იაპონიის კომპარტიის VIII ყრილობა

ტოკიო, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ „გაიხსნა მერვე ყრილობა იაპონიის კომუნისტური პარტიისა, რომელმაც ამ დღეებში აღნიშნა თავისი 39 წლისთავი.

ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური საანგარიშო მოხსენება გააკეთა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ნოსაკამ, მოხსენებაში მოცემულია იაპონიის თანამედროვე საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის დაფვრილებითი ანალიზი, განმარტებულია პარტიის პროგრამის ძირითადი დებულებანი და უახლოესი ამოცანები.

ტოკიო, 25 ივლისი. (საკდესი). დღეს იაპონიის კომპარტიის მერვე ყრილობაზე იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა საკამადამ წაიკითხა ყრილობის სახელზე მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელი დეპეშა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმების საბოლოო სიტყვებს: „გაუმარჯოს იაპონიის მომძლე კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას! — ტასის გრიალით ხვდებიან.

ყრილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ალბანეთის კომუნისტური პარტიის მისასალმებელ დეპეშას, რომელიც იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა იოსიო სიგამ წაიკითხა.

ამით დამთავრდა ყრილობის დღის სხდომა. საღამოს სხდომაზე იაპონიის კომპარტიის პროგრამის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კენიჩი მიიამოტომ.

27 ივლისი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მინდია. უკრაინის დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის დრამატული თეატრი — შელმენკო დენშჩიკი (რუსთაველის სახელობის თეატრში), ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — ლატვრნა მაგიკა.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ქარიშხალის წინ" 18.00— ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენა ეკრანი". 18.20 — კინოჟურნალი. 18.30 — ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ახალი საიუბილეო წიგნები. 19.00 — კუბელი ხალხს ეროვნული დღესასწაული. 19.30 პასუხი ტელეშაყურებელთა შეკითხვებზე. 19.45 — გადაცემა — „მწვანე ოქროს ოსტატები". 19.55 ახალი ამბები. 20.10—მხატვრული ფილმი „ქარიშხალის წინ".

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

УЗ 05604

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.